

ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის
N31 ბინაზე, მოქალაქე მიხეილი უგლავასათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N31 ბინაში მცხოვრები მოქალაქე მიხეილი უგლავას განცხადება /2012 წლის 21.12 Nუ-10727/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლი N31 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N31 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მიხეილი უგლავას.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N31 ბინაზე /საერთო ფართობი 59,97 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 35,08 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,89 კვ.მ./ მოქალაქე მიხეილი უგლავას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგინმა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოვალეობის
შემსრულებელი

ა.ძოწენიძე